

Nelson v. Lewis

ილინოისის სააპელაციო სასამართლო, მეხუთე რაიონი

3 მარტი, 1976

No: 75-432

გადაწყვეტილებათა კრებული

36 Ill. App. 3d 130; 344 N.E.2d 268; 1976 Ill. App.

JO ANN NELSON, არასრულწლოვანი, წარმოდგენილი მამის Eric D. Nelson-ის მიერ, მოსარჩელე-აპელანტი v. GEORGE N. LEWIS, მოპასუხე-მონინალმდევე მხარე

პროცედურული ისტორია:

გასაჩივრებულთა სენტ-კლარის ოლქის რაიონული სასამართლოს მომხსენებელი მოსამართლის, ROBERT L. GAGEN-ის გადაწყვეტილება.

დისპოზიცია:

ქვემო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა ძალაში

წარმომადგენლები:

აპელანტის წარმომადგენლები -Fleming & Fleming, of O'Fallon,

მოპასუხის წარმომადგენლები - Vincent J. Hatch, of Brady, Donovan & Hatch, of Belleville.

მოსამართლეები:

სასამართლო შემადგენლობა - მომხსენებელი მოსამართლე USTICE KARNS. JONES და G. J. MORAN, JJ.

გადაწყვეტილება

მოსარჩელემ სარჩელი შეიტანა ილინოისის „ძალის კბენის“ ნორმის (Ill. Rev. Stat. 1973, თავი 8, პარაგრაფი 366) საფუძველზე მოპასუხის ძალის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის. მოსარჩელემ გაასაჩივრა მოპასუხის

სასარგებლოდ მიღებული ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება-ვერდიქტი.

დაზიანების მიყენების დღეს, ორ-ნახევარი წლის მოსარჩელე Jo Ann Nelson, მოპასუხის უკანა ეზოში, მოპასუხის ქალიშვილთან და სხვა

ბავშვებთან ერთად თამაშობდა „crack-the-whip“-ს¹. Jo Ann თამაშისას სწორედ ამ „კუდის“ ბოლო მონაწილე იყო. როგორც მონმის ჩვენებით დადასტურდა, თამაშის დროს ინერციით გასროლილი მოსარჩელე დაეცა ან მან ფეხი დააბიჯა ძაღლის კუდს, რომელიც ამ დროს ძვალს ღრღნიდა. ძაღლმა (დიდი ზომის დალმატინელი) მოსარჩელეს მარცხენა თვალი თათი გაჰკრა. საქმის გარემოებებით დასტურდებოდა, რომ შემთხვევის მომენტამდე მოსარჩელეს ან სხვა პირს არ გამოუწვევიათ ძაღლის პროვოცირება ან გაღიზიანება. ასევე, დასტურდებოდა რომ წარსულში ძაღლს არც უკბენია და არც რაიმე სხვა სახის დაზიანება მიუყენებია ვინმესთვის. ძაღლის მფლობელის განმარტებით, ძაღლი აგზნებული არ ჩანდა არც შემთხვევის მომენტამდე და არც მას შემდეგ. შემთხვევის შედეგად, მოსარჩელემ მარცხენა თვალის ცრემლსადენი სადინარის მუდმივი დაზიანება მიიღო.

საკანონმდებლო აქტი (ნორმა), რომელიც გასაზღვრავს ძაღლის მფლობელის პასუხისმგებლობის საკითხს, ძაღლის თავდასხმის ან მიყენებული დაზიანების შედეგად:

„თუ ძაღლი ან სხვა ცხოველი, პროვოკაციის გარეშე, თავს დაესხმება ან დააზიანებს პირს, რომელიც მშვიდობიანად იმყოფება ნებისმიერ ადგილზე, სადაც მას კანონიერად ყოფნის უფლება აქვს, ძაღლის ან სხვა ცხოველის მფლობელი ვალდებულია სრული ოდენობით აანაზღაუროს მიყენებული ზიანი“. (Ill. Rev. Stat. 1973, თავი 8, პარაგრაფი 366)

აღნიშნული ნორმის შესაბამისად არსებობს 4 ელემენტი, რომელიც უნდა დადასტურდეს: დაზიანება მიყენებულია მოპასუხის ძაღლის მიერ; პროვოკაციის ნაკლებობა; დაზარალებული პირის მშვიდობიანი ქცევა; და დაზარალებულის

ყოფნა იმ ადგილას, სადაც მას კანონიერად ყოფნის უფლება აქვს (*Siewerth v. Charleston*, 89 Ill. App.2d 64, 231 N.E.2d 644 (1967); *Messa v. Sullivan*, 61 Ill. App.2d 386, 209 N.E.2d 872 (1965); *Beckert v. Risberg*, 50 Ill. App.2d 100, 199 N.E.2d 811 (1964) rev'd on other grounds², 33 Ill.2d 44, 210 N.E.2d 207 (1965)). მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხს არ წარმოადგენს, რომ დაზიანება მიყენებულია მოპასუხის ძაღლის მიერ; მოსარჩელის ქმედება იყო მშვიდობიანი და მოპასუხემ დაზიანება მიიღო იმ ადგილზე, სადაც მას კანონიერად ყოფნის უფლება ჰქონდა. ნორმის მიზნებისთვის სადავო საკითხია — წარმოადგენს თუ არა მოსარჩელის არაგანზრახი ქმედება „პროვოკაციას“.³

ამ სახის დავის საგანი ილინოისის სასამართლო პრაქტიკაში პირველადია. ნორმა ერთმანეთისგან არ განასხვავებს პროვოკაციის განზრახ და არაგანზრახ ქმედებებს და მაშასადამე, მოპასუხე ამტკიცებს, რომ არაგანზრახი ქმედება, რომელიც ცხოველის ან ძაღლის პროვოცირებას ახდენს, შესაძლოა წარმოადგენდეს პროვოკაციას. მოპასუხის პოზიცია, რომ აქ პროვოკაციას არ ჰქონდა ადგილი, მისი სუბიექტური დამოკიდებულებიდან [განზრახვის არარსებობა] გამომდინარე, უკუსაგდება და არ შეესაბამება პროვოკაციის საყოველთაოდ აღიარებულ მნიშვნელობას. პროვოკაცია განისაზღვრება, როგორც პროვოცირების, სტიმულირების ან ნაქეზების აქტი ან პროცესი (ვებსტერის მესამე ახალი საერთაშორისო ლექსიკონი 1827 (1961)). ამდენად, არაგანზრახი ქმედება შეიძლება წარმოადგენდეს პროვოკაციას ნორმის მნიშვნელობიდან გამომდინარე.

მხოლოდ ქვემოთ განხილული სამი გადაწყვეტილება განიხილავს პროვოკაციის საკითხს ნორმის მიზნებისთვის. საქმეში *Siewerth v.*

¹ Crack the whip არის უმარტივესი საბავშვო თამაში, რომელსაც ჩვეულებრივ თამაშობენ პატარა ჯგუფებში, ბალახზე და ზოგჯერ ყინულზეც. ერთი მოთამაშე, რომელიც არჩეულია მათრახის „თავად“, რომელსაც ჩაბმული ჰყავს სხვა ხელჩაკიდებული მონაწილეები, დარბის შემთხვევითი მიმართულებებით, ყოველი შემობრუნებისას წარმოქმნილი ინერცია აჩქარებს ე.წ. ჯაჭვის კუდს (ბოლო მონაწილეს). რაც უფრო მკვეთრად ბრუნავს და რაც უფრო გრძელდება კუდი, ბოლო მონაწილეებს უჭირთ წონასწორობის შენარჩუნება, რაც იწვევს

მათი სხვადასხვა მიმართულებით, ძლიერი ინერციით გასროლას. მოსარჩელემ თამაშის კუდის (ბოლო) ერთ-ერთი მონაწილე იყო.

² გაუქმდა ზედა ინსტანციის სასამართლოს მიერ სხვა გარემოებების საფუძველზე

³ „Provocation“ გადაწყვეტილებაში საკვანძო განსაზღვრებაა. გადაწყვეტილების თარგმანში ტერმინი თარგმნილია, როგორც პროვოკაცია. Provocation აგრეთვე გულისხმობს გაღიზიანებას, გამოწვევას, შეგულიანებას ან გახელებას.

Charleston, სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე იყო პროვოკაცია, როდესაც დაზარალებულმა ბიჭმა და მისმა თანხმლებმა ძალის სამჯერ დაარტყეს. ამ საქმეში სასამართლომ უარყო არგუმენტი, რომ პროვოკაცია მხოლოდ განზრახ ქმედებას გულისხმობს, და დაადგინა რომ დაზარალებული ბიჭის მიერ ძალისთვის ნიხლის დარტყმა აშკარად განზრახი და პროვოკაციული ქმედებაა. საქმეში *Messa v. Sullivan* სასამართლომ არ დაადგინა პროვოკაცია მოსარჩელის მხრიდან, როდესაც ის მიდიოდა დერეფანში, რომელსაც მცველი ძალის ყარაულობდა, რომელიც მოსარჩელეს დანახვისთანავე თავს დაესხა. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის ქმედება არ წარმოადგენს პროვოკაციას ნორმის მიზნებისთვის და მოსარჩელეს ჰქონდა მოპასუხის შენობაში ყოფნის უფლება. საქმეში *Messa v. Sullivan* მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მას არ ჰქონია ძალის პროვოცირების განზრახვა და შესაბამისად სახეზე არ იყო პროვოკაცია, მიუხედავად ამისა, სასამართლოს მსჯელობა ეფუძნებოდა იმის დადგენას, იყო თუ არა მოსარჩელის ქმედებები და ქცევა პროვოკაციული ბუნების, და არა იმას, ჰქონდა თუ არა მოსარჩელეს ასეთი განზრახვა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ნორმის მიზნებისთვის „პროვოკაცია“ არ არის განსაზღვრული იმ მიზნით, რომ იგი გავრცელდეს ისეთ სიტუაციაზე, როდესაც ავი⁴ ძალის სტუმრის უსაფრთხო მოძრაობას აღიქვამს როგორც მტრულ ქმედებას და მას თავს ესხმის. მსგავსად საქმეში *Steichman v. Hurst*, 2 Ill. App. 3d 415, 275 N.E.2d 679 (1971), სასამართლომ დაადგინა, რომ ფოსტის კურიერის მიერ მოპასუხის ძალისთვის სპრეის შესხმა არ წარმოადგენდა პროვოკაციას. მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების მიხედვით, მოსარჩელის მიერ პროვოკაციის განზრახვის არარსებობა მატერიალურია, ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ეს ამ გადანყვეტილების სწორი გაგებაა. საქმეში *Steichman v. Hurst*, 2 Ill. App. 3d 415, 275 N.E.2d

679 (1971) ფოსტის (წერილების) კურიერს შემთხვევის დღეს რამდენჯერმე ჰქონდა მოპასუხის ძალთან პრობლემა და, შესაბამისად, მან არაერთგზის სცადა ძალის მოგერიება. სასამართლომ მისი ქმედება მიიჩნია, როგორც „გონივრული ზომა თავდაცვისთვის, რომელიც გამოწვეულია ძალის ქმედებებით და მხოლოდ მის მომენტალურად შეკავებას ისახავდა მიზნად“. მაშასადამე, მოსარჩელის ქმედებები, მათ შორის განზრახი ქმედებები, არ წარმოადგენდა ძალის ნაქეზებას ან პროვოკაციას, რასაც თავდასხმის გამოწვევა შეეძლო.

წინამდებარე საქმეში დადგენილია, რომ მოსარჩელე ძალს კუდზე დაახტა ან დაეცა; ძალის იყო მშვიდი და წყნარი და შემთხვევის დროს ძვალს ღრღნიდა. ამ გარემოებების საფუძველზე, მიგვაჩნია, რომ დაღმადინელი (ძალის) იყო პროვოცირებული, მიუხედავად იმისა, რომ პროვოკაცია არ იყო განზრახი.

მოსარჩელე ამტკიცებს, რომ ნორმის მიზნებისთვის გოგონას ქმედება არ შეიძლება შეფასდეს როგორც პროვოკაცია, რადგან გოგონას ქმედება არ იყო განზრახი, ან მას ასაკის გამო არ შეუძლია ბრალეული ქმედების გაცნობიერება. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელის ადვოკატი წარადგენს ძლიერ არგუმენტს — ძალის მფლობელისთვის მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე „ნაზი“⁵ ასაკის ბავშვისთვის მიყენებული დაზიანებებისთვის, ჩვენ ვერ გავიზიარებთ რომ ამ შტატს საჯარო პოლიტიკა აიძულებს ასეთი სტანდარტის მიღებას.

ილინოისის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ძალის მიერ მიყენებული დაზიანებების შედეგად პირს მფლობელისგან მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ იგი დაამტკიცებს რომ ძალმა გამოავლინა „კაცობრიობის დაკბენის“⁶ მიდრეკილება და რომ ძალის მეთვალყურე ან მფლობელმა ეს შეამჩნია (*Chicago & Alton R.R. Co. v. Kuckkuck*, 197 Ill. 304, 64 N.E. 358 (1902); *Domm v. Hollenbeck*, 259 Ill. 382, 102 N.E. 782

⁴ Vicious dog - ავ, სასტიკი, აგრესიულ ძალად შესაძლოა შეფასდეს ნებისმიერი ძალის, რომელიც პროვოკაციის გარეშე თავს ესხმის ან კლავს ადამიანს.

⁵ „Tender years“ დოქტრინა არის პრეცედენტული სამართლის პრინციპი საოჯახო სამართალში და მზრუნვე-

ლობის საქმეებზე. დოქტრინის თანახმად, ბავშვის „ნაზი“ წლების განმავლობაში (ზოგადად განიხილება, როგორც ოთხი წელი და უფრო დაბალი ასაკი), დედას აქვს ბავშვზე ზრუნვის უმაღლესი უნარები და მას უნდა ჰქონდეს ბავშვის მეურვეობა.

⁶ „To bite mankind“

(1913); *Klatz v. Pfeffer*, 333 Ill. 90, 164 N.E. 224 (1928)). პირს არ შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ ეს გამომწვეული იყო გაუფრთხილებლობით ან საშიშ ძალთან შეგნებულად კონტაქტით (*Chicago & Alton R.R. Co. v. Kuckkuck*) ან ძალის პროვოცირებით (*Keightlinger v. Egan*, 65 Ill. 235 (1872)). ძალის მფლობელის პასუხისმგებლობა ეყრდნობა გაუფრთხილებლობას და ის შეიძლება იყოს პასუხისმგებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ჰყავდა „ავი“ ძალის. ამრიგად, ძალის მიერ დაზარალებულ პირს მტკიცების მნიშვნელოვანი ტვირთი აკისრია.

წინამდებარე კანონმა და მისმა უშუალო წინამორბედმა, არსებითად შეამსუბუქა პრეცედენტული სამართლის მიერ დაკისრებული ტვირთი. მის მიხედვით, აღარ არსებობს იმის მტკიცების აუცილებლობა, რომ ძალის ადამიანების მიმართ ავი იყო და იცოდა თუ არა მეპატრონემ ამის შესახებ, იგი ზედმეტად აქცევს ასევე იმ საკითხის გამოკვლევის აუცილებლობას, შეუწყო თუ არა ხელი მეპატრონის გაუფრთხილებლობამ ზიანის გამომწვევას (გარდა პროვოკაციისა) (*Beckert v. Risberg*, 33 Ill.2d 44, 210 N.E.2d 207 (1965)). თუმცა, არ მიგვაჩნია, რომ ის მიზნად ისახავდა მფლობელებისთვის მათი ძალების მიერ მიყენებული ყველა დაზიანებისთვის მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრებას, გარდა განზრახ პროვოცირებისა. ამის ნაცვლად, საკანონმდებლო აქტის მიზანს ცხადად წარმოადგენდა სუბიექტური განსჯის⁷ მაქსიმალურად აღმოფხვრა. ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ დაზიანებები მიიღო მაშინ, როდესაც იგი მშვიდობიანად იმყოფებოდა ადგილზე, სადაც კანონიერად ყოფნის უფლება ჰქონდა, არ საჭიროებს პირის განზრახვის კვლევას. მიგვაჩნია, რომ „პროვოკაციის“ განსაზღვრაც სწორედ ამ მსჯელობისგან დამოუკიდებლად უნდა მოხდეს. პროვოკაციის განსაზღვრა არ საჭიროებს განზრახვის (რაც იწვევს პროვოკაციას) ხარისხის გათვალისწინებას. საკანონმდებლო ორგანოს მიზანი განზრახ

ხი პროვოკაციისთვის ზიანის ანაზღაურების გამომრიცხავ გარემოებად განსაზღვრა რომ ყოფილიყო, ამას დააკონკრეტებდა კიდევ. დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ იმ ძალის მფლობელი ან მცველი, რომლის ძალის გამოყენებაც ან დაზიანებას აყენებს სხვას, ყოველგვარი პროვოკაციის გარეშე, პასუხისმგებელია ზიანის ანაზღაურებაზე. აგრეთვე არ მიგვაჩნია, რომ მოსარჩელე მისი „ნაზი“ ასაკის გამო სრულად უნდა გათავისუფლდეს პროვოკაციის პასუხისმგებლობისგან. უზენაესმა სასამართლომ საქმეში, რომელშიც მოსარჩელე 3 წლის ბიჭი იყო, *Beckert v. Risberg*, 33 Ill.2d 44, 210 N.E.2d 207 (1965), გაიზიარა ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქცია, რომელიც პირდაპირ ეფუძნებოდა ნორმის ფორმულირებას. მიუხედავად იმისა, რომ საქმის განხილვისას ასაკი სასამართლოს მსჯელობის პირდაპირი საგანი არ ყოფილა, იგულისხმება რომ ნორმის შესაბამისად მცირეწლოვანი ბავშვი მისი ასაკის გამო არ შეიძლება განთავისუფლდეს პროვოკაციის პასუხისმგებლობისგან.

სასამართლო მიუთითებს სხვა შტატების გადაწყვეტილებებზე, რომელიც იძლევა დაზარალებული პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, როდესაც ამ პირის არაგანზრახმა ქმედებამ გამოიწვია ძალის „პროვოკაცია“. თუმცა, ეს ორი საქმე გადანყდა პრეცედენტული სამართლის გაუფრთხილებლობის თეორიის საფუძველზე, რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ არაგანზრახი ქმედება არ წარმოადგენს ხელშემწყობ გაუფრთხილებლობას (*Smith v. Pelah*, 2 Strange 1264, 93 Eng. Rep. 1171 (1795); *Fake v. Addicks*, 45 Minn. 37, 47 N.W. 450 (1890)). ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მითითებული ნორმა ითვალისწინებს ძალის მიერ მიყენებული დაზიანებებისთვის მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსარჩელე მოსალოდნელი შედეგის წინასწარი ცოდნით იღებს დაზიანებებს⁸ (*Wojewoda v. Rybarczyk*, 246 Mich.

⁷ Consideration

⁸ ე.წ. „ბრალეული ცოდნა“, მაგალითად, თუ დაზარალებულმა პირმა (მოსარჩელემ) ნებაყოფლობით გააკეთა რაიმე ძალის პროვოცირების მიზნით ან საკუთარი

თავისთვის ზიანის მიყენების მიზნით, აწესებს ერთგვარ გამონაკლისს მკაცრი პასუხისმგებლობის წესიდან.

641, 225 N.W. 555 (1929)). ზემოხსენებული გადაწყვეტილებები, მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების მიუხედავად, მოცემულ საქმესთან მიმართებით შეუსაბამოა, რადგან ისინი გადაწყდა იმ სამართლებრივ თეორიებზე დაყრდნობით, რომლებიც მოიცავს დაზარალებული პირის მიერ შედეგების წინააღმდეგ სრულად გაცნობიერებას.

მიუხედავად იმისა, რომ მიგვაჩნია წინამდებარე ნორმა ძალის მფლობელს არ აკისრებს პასუხისმგებლობას როდესაც ძალის უბრალოდ რეაგირებს არაგანზრახ პროვოკაციულ ქმედებაზე, განხილული საქმე („წინამდებარე მიმართვა“) არ ეხება შემთხვევას როდესაც ძალის რეაქცია იყო ზედმეტად აგრესიული მომხდარ არაგანზრახ პროვოკაციულ აქტთან შედარებით (მაგ.: *Messa v. Sullivan*). დალმატინელმა, რომე-

ლიც ძვალს ღრღნიდა მხოლოდ წინათათი გაჰკრა და გაკანრა მოსარჩელე, კუდზე ფეხის დაბიჯების ან დაცემის საპასუხოდ, რაც არცერთ შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს, ძალის ავ (აგრესიულ) მოქმედებად. შესაბამისად, ვადგენთ რომ „პროვოკაცია“ ნორმის მიზნებისთვის მოიცავს, როგორც განზრახ ასევე არაგანზრახ ქმედებას — რომ მოპასუხის ძალის პროვოცირებული იყო მოსარჩელის არაგანზრახი ქმედებით და ძალს არ გამოუვლენია ავი (აგრესიული) რეაქცია ამ ქმედებებზე და რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივად სწორია.

გადაწყვეტილება თარგმნა და განმარტებები დაურთო ავთანდილ სოფრომაძემ, LL.M. (Chicago)